

სიმონო კვანთალიანი

**ერთი მწერლის კორაუსი-ლექსიკონი
დავით გურამიშვილის „დავითიანი“**

(მოსამზადებელი სამუშაო მასალის დამუშავებისა და
სიმფონია-ლექსიკონის პრინციპების დადგენისათვის)

დავით გურამიშვილის „დავითიანის“ სიმფონია-ლექსიკონი უნდა გაკეთებულიყო ბევრად უფრო ადრე. ეს იდეა ეკუთვნოდა ბ-ნ ბესარიონ ჯორბენაძეს. მასალა ამოწერილი იყო დავით გურამიშვილის დაბადების 275 წლისთავისადმი მიძღვნილი „დავითიანის“ საიუბილეო გამოცემიდან. მასალა ანბანთრიგზეც იყო დალაგებული და ვმუშაობდით სიმფონია-ლექსიკონის შედგენის პრინციპებზე. სამწუხაროდ, ბ-ნი ბ. ჯორბენაძის გარდაცვალების გამო სამუშაო შეჩერდა.

ესეც უნდა ითქვას, რომ ეს სამუშაო თავის დროზე რომ შესრულებულიყო, უკვე წიგნად იქნებოდა გამოცემული და ალბათ მკითხველისათვის მნიშვნელოვანი შენაძენიც გახდებოდა. რაკი ეს ლექსიკონი, სამწუხაროდ, თავის დროზე არ გაკეთდა, ამჟამად სამუშაო უფრო დიდი მასშტაბით უნდა გაიშალოს. სიმფონია-ლექსიკონი დღესაც აქტუალურია, მაგრამ კომპიუტერიზაციამ მეტი შესაძლებლობები მოგვცა, ამიტომ აუცილებელია გამოვიყენოთ არა მხოლოდ ამოწერილი მასალა, არამედ კომპიუტერში უნდა შევიდეს ტექსტი, მთელი „დავითიანი“.

თავის დროზე მასალა ამოწერილი იყო ბ-ნი ბ. ჯორბენაძის ხელმძღვანელობით. ტექსტიდან ამოწერილია ილუსტრაცია. სალექსიკონო ერთეული გამოტანილია თავში. ზმნა ამოწერილია იმ ფორმით, როგორც ტექსტში გვხვდება და მითითებული აქვს მასდარი. უფრო სწორად, ჯერ მასდარი და მერე ზმნური ფორმა. მაგალითად:

დგ-ომა: ადგების

თუ ჩაწვა, ძნელად **ადგების**, თავშიც რომ სცემო ტორია.

დგენ-ა: აღუდგენდი

მკვდარს **აღუდგენდი**.

სადაც დაცილება არის მასდარსა და ზმნას შორის, იქ მითითებულია ზმნის ძირი: **დგ: ადექ, დგ: ადგების, პირ: აპირებ, დგ: მაღვიაო.**

სიმფონია-ლექსიკონი გულისხმობს, რომ აღინუსხება ყველა სიტყვა, რაც „დავითიანში“ გვხვდება, არა მარტო სრულმნიშვნელობიანი სიტყვები, არამედ არასრულმნიშვნელობიანიც. მიეცემა კვალიფიკაცია არსებითი სახელია, ზედსართავი სახელი, თანდებული, ზმნიზედა თუ ზმნა. სიტყვა დაიშლება, დაიყოფა მორფემებად, ძირი და მაწარმოებლები გამოიყოფა ცალკე, მიეცემა კვალიფიკაცია ძველი ქართულის ფორმაა თუ დიალექტური. იქვე მიეწერება

თანამედროვე ქართულის ფორმაც. უფრო სწორად, რა ფორმით ან რა მნიშვნელობით გამოიყენება ეს სიტყვა თანამედროვე ქართულში.

ამგვარად შესრულებული სამუშაო საშუალებას მოგვცემს „დავითიანი“ გამოიყოს როგორც ძველი ქართულის მასალა, ასევე დიალექტური, კერძოდ, ქართლური. ამ სამუშაოს დაემატება სიმფონია-ლექსიკონისათვის საჭირო ინფორმაცია. ილუსტრაციას ყველგან უნდა მიეთითოს გვერდი, რომ არ დაიკარგოს „დავითიანი“ გამოყენებული არც ერთი ფორმა და უნდა დაემატოს განმარტება. განიმარტება, აიხსნება ძირითადად ყველა სიტყვა, გარდა იმისა, რაც საყოველთაოდ ცნობილია და განმარტებას არ მოითხოვს. ასე აქვს, მაგალითად, ბ-ნ ზურაბ სარჯველაძეს ძველი ქართული ენის ლექსიკონში. ის, რაც თანამედროვე ქართულსა და ძველ ქართულში ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, არ არის განმარტებული, ტოლობის ნიშანი აქვს დასმული. მაგალითად: **ტირილი=, ტირიფი=, სანთელი=, ნისლი=...** მუშაობის პროცესში თუ დადგება იმის საჭიროება, რომ განიმარტოს ყველა სიტყვა, არც ეს იქნება პრობლემა. ელექტრონულ ლექსიკონს აქვს უფრო მეტი შესაძლებლობები, ვიდრე ეს ბეჭდურ ლექსიკონს ექნებოდა. აქ ყოველთვის შესაძლებელი იქნება შეივსოს მასალა, დაემატოს განმარტება ან მონაცემთა ბაზას ჩაემატოს რაიმე მახასიათებელი. აქ არ არის შეზღუდული გვერდების რაოდენობაც. ამიტომ ყველა ილუსტრაცია მოხვდება შესაბამის ადგილზე.

სახელი სიმფონია-ლექსიკონში დალაგდება ანბანურ რიგზე, მაგრამ ბუდეში განლაგდება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. სალექსიკონო ერთეულად გამოვა სახელობითი ბრუნვის ფორმა და დაფიქსირდება ტექსტში გამოყენებული ყველა ბრუნვის ფორმა რიცხვის მიხედვით.

ზმნური ფორმები დალაგდება მწკრივის, პირისა და რიცხვის მიხედვით, ჯერ მოქმედებითი გვარის ფორმები, შემდეგ ვნებითი თუ სტატიკური. სალექსიკონო ერთეულად გავა ზმნური ფუძე. ბუდეში დაფიქსირდება ტექსტში გამოყენებული ყველა ფორმა, ჯერ საწყისის ყველა ვარიანტი, მერე ზმნის ფორმები და მერე მიმღეობისა, თუ ამ ძირზე მიმღეობაც დაფიქსირდება. ამიტომ ერთ ბუდეში მოიყრის თავს ჯერ საწყისი, მერე ზმნური ფორმები და მერე მიმღეობაც.

დაახლოებით ამგვარი პრინციპით არის აგებული **ნიკო ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართული ლექსიკონი“**. ოღონდ იქ სალექსიკონო ერთეული ზმნის I პირის ფორმაა და იმავე ბუდეში მითითებულია ამ ძირზე ნაწარმოები ყველა ფორმა: ზმნური, სახელზმნური, ზედსართავიც და ზმნიზედაც.

დაახლოებით ამგვარი იქნება სურათი „დავითიანის“ სიმფონია-ლექსიკონისა. ოღონდ აქ უმეტესად მასდარის ფორმით დაიწყება ბუდე, მერე იქნება ზმნა და ბოლოს მიმღეობა.

სახელიც და ზმნაც ერთგვაროვანი პრინციპით იქნება აგებული.

მუშაობის პროცესში შესაძლებელია ლექსიკონის შედგენის პრინციპები უფრო დაიხვეწოს და საჭიროებისდა მიხედვით შეიცვალოს კიდევ. შესაძლებელია სახელიც და ზმნაც დალაგდეს ძირების მიხედვით. მით უმეტეს, ქართული ენის ზმნური და სახელზმნური ფუძეების ლექსიკონში, ასევე სახელურ ფუძეთა ლექსიკონში, რომელიც შეადგინეს ბ. ჯორბენაძემ, ნ. ლოლაძემ და მ. კიკო-

ნიშვილმა და მზადდება გამოსაცემად, სალექსიკონო ერთეულად გატანილია ფუძეები და მერე არის დაფიქსირებული ამ ფუძით ან ძირით ნაწარმოები ყველა ფორმა.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია ზოგჯერ სალექსიკონო ერთეულად გავიდეს ზმნაც ან ბუდეში ჯერ მიეთითოს ზმნური ფორმები, მერე მასდარი და ბოლოს მიმღეობა.

სიმფონია-ლექსიკონი უმჯობესია ანბანურ-ბუდობრივი პრინციპით იყოს შედგენილი.

სხვათა შორის, ამ სამუშაოს რაღაც ეტაპის შესრულების შემდეგ უფრო დაიხვეწება შინამრეწველობის მასალების განმარტებითი ლექსიკონის პრინციპებიც. ისიც, სავარაუდოდ, ჩაფიქრებული იყო ანბანურ-ბუდობრივი პრინციპით გაკეთებულიყო.

ეს არის სამუშაოს დასაწყისი. რა თქმა უნდა, მუშაობის პროცესში კიდევ უფრო დაიხვეწება და ჩამოყალიბდება ლექსიკონის შედგენის პრინციპები.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი... 1989 — გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბილისი, 1989.

გოგოლაშვილი... 1991 — გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბილისი, 1991.

ჯორბენაძე... 1988 — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988.

დავითიანი 1980 — დ. გურამიშვილი, დავითიანი, მიძღვნილი დ. გურამიშვილის 275 წლისთავისადმი, თბილისი, 1980.

TSITSINO KVANTALIANI

One Wwriter's Corpus-dictionary Davit Guramishvili's "Davitiani"

(preparing work for processing the material and establishing
the principles of a symphony-dictionary)

S u m m a r y

A symphony dictionary means that all words which we meet in "Davitiani" will be listing, not only completely-meaning words but non-completely-meaning ones. A noun, an adverb, a postposition, an adverb or a verb will be qualified and a word will be divided into morphemes, root and a formative marker will be separated and will be qualified if it is an old Georgian or dialectal form. A modern Georgian form will be written, exactly, through what form or meaning this word is used in modern Georgian.

Essential information for a symphony-dictionary was added to it. A page-number must be indicated to an illustration and explanation must be written to it. Mainly all words must be explained except those which are widely known.

A noun will be listed alphabetically, but they will be placed in brackets according to a declension and a number. A nominative case form will be a dictionary entry.

Verbal forms will be placed according to a screeve, a person and a number, first active voice forms and then passive or static ones. A verbal stem will be a dictionary entry. All forms used in a text will be fixed in a bracket, first all variants of infinitive and then forms of a verb and participle.

It will be possible to arrange a noun and a verb according to roots, stems.

It is clear that the principles of compiling a dictionary will be refined and formulated in the process of working.